ტფილისი საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხშაბათი, 31 დეკემბერი 1903 წ.   1877 წელიწადი ოც-დამეშვიდე 1903   ოთხშაბათი, 31 დეკემბერი 1903

გაზეთის ფასი:

12	თვით . .	10 მ. —	კ.
11	,, . .	9 ,, 50	,,
10	,, . .	8 ,, 75	,,
9	,, . .	8 ,, —	,,
8	,, . .	7 ,, 25	,,
7	,, . .	6 ,, 50	,,
6	,, . .	6 ,, —	,,
5	,, . .	5 ,, 50	,,
4	,, . .	4 ,, 75	,,
3	,, . .	3 ,, 50	,,
2	,, . .	2 ,, 75	,,
1	,, . .	1 ,, 50	,,

ივერია

№ 280 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 280

წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა:

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

1904 წელს

სა-პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია"

გამოვა იმავე სივრცით და სრულის პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა.

რედაქცია ყოველს ღონისძიებას იხმარს, რომ გაზეთი გააუმჯობესოს. იმ თანამშრომელთა გარდა, რომელნიც აქამდე მონაწილეობას იღებდნენ, რედაქციას სხვა ჩვენი მწერლებიც დაჰპირდნენ დახმარებასა და თანამშრომლობას.

ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ **თუმანია**. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

1904 წლის ხელის-მომწერთ, რომელნიც სრულ ფასს შემოიტანენ 1 თებერვლამდე, დაურიგდებათ პრემიად გრაფ ლ. ნ. ტოლსტოის რომანი **„აღდგომა"** („Воскресеніе") და ალ. სუმბათაშვილის დრამა **„ღალატი"** (Измѣна). ეს უკანასკნელი წიგნი იბეჭდება, ავტორის სურათით, და ხელის მომწერთ იანვრის გასულს დაურიგდებათ.

5 მანეთად ტფილისში და **7** მანეთად ტფილისს გარეშე

დაეთმობათ გაზეთი უპრემიოდ: სოფლის მასწავლებელთ, უფასო სამკითხველოებსა, უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეთ და ყველა ხელოსანს. ამათაც შეუძლიანთ ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანონ.

გაზ. „ივერიის" **კონტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 5 საათამდე და საღამოს 5 საათიდამ 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

რედაქციას ნება აქვს შეამოკლოს და შეასწოროს დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილი, არ დაბეჭდილ წერილების შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის" რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა.
ქუთაისში:—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
ბათომში:—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ჰელიძის წიგნის მაღაზიაში.
საბუნჩაში:—პეტრე მაჭავარიანთან.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.
განჯაში:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).
გორში:—ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—10 კაპ. მთელი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія".

რაინაშვილისეული ფოტოგრაფია.

ამ წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების

ფოტოგრაფი

რაინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი,

იჯარით აიღო

და სრულიად ახლად მოაწყო იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;
2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;
3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, **მეცამეტე სურათი, მიეცემა მ უ ქ თ ა დ** აკვარელით (ფერადებით) **საუცხოოდ დახატული.**
4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასაყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, სანახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიე ფასად.

მოსწავლ ფოტოგრაფია გადაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სიმონის ძე მომცელიძე**.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 1 იანვარს, 1904 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

ორი ობოლი

დრამა 5 მოქმედ. თარგ. ა. ცაგარლისა.

მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. დავითიშვილი, ნებიერიძისა, ნ. ჯავახიშვილი, საფაროვ-აბაშიძისა. ბ-ნნი: დ. ბაქრაძე, გედევანოვი, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, ყიფიანი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი დაკლებულია.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

შემდეგი წარმოდგენა 2 იანვარს საიუბილეო „ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა" და „სამზადისი".

რეჟისორი **აკაკი**.

№ 35 საღესასწაულო წარმოდგენა

ქართული თეატრი

პარასკევს, 2 იანვარს, 1904 წ.

ქართულ თეატრის დაფუძნების საისტორად

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

ნ. ჩხეიძის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება ორი პიესა

I

ს ა მ ზ ა დ ი ს ი

სცენები ქართულ თეატრის დაფუძნების დროიდან ბ. უმიკაშვილისა.

II

დამარცხებულნი

დრამა 4 მოქ. ბ. უმიკაშვილისა

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. დავითიშვილი, ა. კარგარეთელისა, ნ. ჩხეიძე, ელ. ჩერქეზიშვილისა, ნ. ჯავახიშვილი, საფაროვ-აბაშიძისა; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. ბაქრაძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, კ. მესხი, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, საფაროვი, კ. ყიფიანი, გ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად „ყაჩაღები" შილლერისა, **ალექსი-მესხიშვილის** საბენეფისოდ.

რეჟისორი **აკაკი**

სამშაბათს 1904 წლის იანვრის 6

ტფილისის „კრუჟოკის" დარბაზში

გაიმართება

მეჯლისი

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის სასარგებლოდ.

ფასი 2 მან. 10 კაპ.

ქალებისათვის გულ-ამოჭრილი კაბა სავალდებულო არ არის. მოქალაქეთათვის, რომელნიც ცეკვობენ, ფრაკი სავალდებულოა, ხოლო სამხედროთათვის დადგენილი ფორმა.

დასაწყისი საღამოს 10 საათზე.

ბილეთები ისყიდება „კრუჟოკის" დარბაზში.

ტფილისის სახაზინო თეატრი

რუსული ოპერა

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

ოთხშაბათს, 31 დეკემბერს, 1903 წ.

კამორრა

ოპერა 3 მოქ. მუს. ესპოზიტოსი.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: არციბაშევა, კარრი, სელიუკი, კაზირყოვსკაია, ვ. სტრელსკაია; ბ-ნნი: დარსკი, სელიავინი, ილიუშჩენკო, გლადკოვი, თულაშვილი, სანგურსკი, ფედოროვი, ნოვიცკი.

უფროსი რეჟისორი ბოგოლიუბოვი.

კაპელმეისტერი ბ-ნი პოზენი

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

ხუთშაბათს, 1 იანვარს, წარმოდგენილი იქნება „პიკოვოი დამა", ოპერა ჩაიკოვსკისა.

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდის საღამოს 5—7, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდის საღამ. 5—7-დის. (წლ.)

ექიმი

ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე.

ნიკოლოზის ქუჩა, № 46.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირდღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

გ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სდოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

კ. ი. მძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

ვ. ს. ლევი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა**. 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

მ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი 8½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

(წლ.)

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჭიჭინაძე. კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე

ლ. ი. კამოევი. საშარდ., ვენერ. და სიფილ 10—11 ს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

ვ. დ. ლამბაშიძე. შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

ლ. მ. მონინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვების და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

გრ. ვ. სობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

ტფილისი, 31 დეკემბერი.

დავუბრუნდეთ ბ-ნ ქაიხოსრო გელოვანის მსჯელობასა.

მართალია, სრული მართალი, რომ წრეულს შემოდგომიდან ქართული ენა შედარებით წინა წლებთან უფრო შევიწროვებული იქმნა სამეგრელოსა და სვანეთის სკოლებში. მაგრამ ეს სამწუხარო მოვლენა იოტისოდენადაც არ არის გამოწვეული უმაღლესის მთავრობისაგან, იგი სავსებით და სრულიად არის ნაყოფი ადგილობრივის უკუღმართობისა, უსამართლობისა და ეგრედ წოდებული [illegible] ერთგულებისა. და როგორც ადგილის კურდღელს მხოლოდ ადგილისავე მწევარი იჭერს, ისე ადგილობრივის სენის ამოფხვრა ადგილობრივი წამლითვე უნდა მოხდეს. თორემ რას ეგვანება, ტფილისის და ქუთაისის დანაშაულობა პეტერბურგს გადავაბრალოთ. ამით ჩვენ ხელს მოვუმართავთ ადგილობრივს ცოდვილებს, რომელნიც თვალს გვიბამენ, თავისს ბრალს სატახტო ქალაქს სდებენ, თვითონ ხელს იბანენ, წყალს ამღვრევენ და შიგ მსუქან-მსუქან თევზებს იჭერენ. ამ ხერხს ხშირად, ძალიან ხშირად ხმარობენ ცოდვილნი და დროა შევიგნოთ იგი, ჯეროვანად გავითვალისწინოთ, გავაცრუოთ და შევარცხვინოთ. დიახ, შევარცხვინოთ ღვთისა და კაცის წინაშე, და საქმე მტკიცედ დავაყენოთ კეთილსა და სამართლიანს გზაზე.

მეორე აზრიც ბ-ნი გელოვანისა არა ნაკლებ ითხოვს მხილებასა, გამტყუნებასა. მისი წერილი რომ უცხო დუშმანს გადაუთარგმნონ, (რაც ხშირად ხდება), იგი იმ აზრს გამოიტანს, რომ ქართველობას საზოგადოდ არაფრად ეპიტნავება თავისი დედა-ენა და მას იცავს მხოლოდ მცირედი ნაწილი ანუ ერთი ჯგუფი, და მაშ რაღა საჭიროა აქ რაიმე ყოყმანი შესახებ მისი უფლების გაუქმებისა. ნამდვილად-კი მართალია სრულიად წინააღმდეგი აზრი. მთელი ქართველი ერი ძვირად აფასებს თავისს დედა-ენასა; ძვირად აფასებენ მას, ასე გასინჯეთ თვით ჩვენებური მარქსისტები, რომელთაც ქართული ლიტერატურა გაამდიდრეს არა ერთი სასარგებლო და შესანიშნავი წიგნითა. წინად წელიწადში ორი-სამი წიგნი არ გამოდიოდა ქართულს ენაზე, ახლა დღე არ გავა ისე, რომ რამდენიმე წიგნი არ დაიბეჭდოს და არ გაიყიდოს ხალხში, საზოგადოებაში. წინად ერთად-ერთს ქართულს გაზეთს ჰყავდა სულ 500—600 ხელის-მომწერი, ახლა სამს ქართულს გაზეთს იბარებს და კითხულობს 500—600 ქართველი. მართალია, ცოტა არ არის რიცხვი იმ ქართველთა, რომელნიც გულ-გრილად უცქერიან დედა ენასა, და ეს ქართველნი სწორედ წყევლისა და ქოლვის ღირსნი არიან, მაგრამ სამაგიეროდ ვხედავთ ჩვენს ინტელიგენციაში იმისთანა მამულიშვილებსაც, რომელნიც ევროპიდან მოყვანილს ცოლებსაც იმდენად აქართველებენ, რომ თავისს შვილებს ექვსს-შვიდ წლამდის მარტო ქართულს ენას ასმენენ და საზოგადოდ თავისს ოჯახში ეროვნულს სულსა და გულს ამეფებენ...

საზოგადოდ ჩვენ გვმართებს მხნე და დაუცხრომელი ბრძოლა სენის ამოსაფხვრელად და არა მისი საშინელი გაზვიადება, რასაც ადვილად მოსდევს ერთი მხრივ გულის გატეხა და უიმედობით მოწამლვა, მეორე მხრივ გამხნევება და წათამამება დუშმანისა.

ტ ფ ი ლ ი ს ი

კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ლეიტენანტი თავ. გოლიცინი განიკურნა ავადმყოფობისაგან და 30 დეკემბერს შეუდგა თავის თანამდებობის ასრულებას.

5 იანვარს ნიკიტინის ცირკში ღარიბ ბავშვთათვის მასწავლებელ ქალთა საზოგადოების [illegible]

გადოებას საღსარი არა აქვს, რომ ყველაფერი თავის ხარჯით მოაწყოს და ამიტომ სთხოვს ყველას, რომ შემწეობა აღმოუჩინონ ფულით, ტანისამოსით და ან სათამაშო ნივთებით. ყოველნაირი შეწირულება საზოგადოების მიერ დიდის მადლობით მიიღება. მსურველთ შეწირულებანი უნდა გაგზავნონ საზოგადოების კანტორაში, სამებისა და გრაფის ქუჩების კუთხეში, ან იაფ-ფასიან სამკითხველოში, რომელიც კიროჩნი ქუჩაზედ იმყოფება.

კავკასიის საიმპერატორო საბაღოსნო საზოგადოებას აზრად აქვს შუამდგომლობა აღძრას მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წინაშე, რომ მან სამის წლის განმავლობაში ხსენებულ საზოგადოებას შემწეობა აღმოუჩინოს ყოველ წლივ 1200 მანეთით. ეს ფული საბაღოსნო საზოგადოებას ჟურნალის გამოსაცემად სჭირდება. აზრად აქვთ აგრეთვე, ხუთი კაცი ამოირჩიონ საზოგადოების წევრთაგან და მათ მიანდონ ჟურნალის წარმოება.

მომავალ წელს პეტერბურგში დანიშნულია სრულიად რუსეთის მკურნალთა კრება. კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოებამ თავის წარმომადგენლად ამ კრებაზედ დანიშნა ექიმი გ. ნ. სტეფანოვი, თავმჯდომარე იმ საგანგებოდ არჩეულის კომისიისა, რომელსაც მინდობილი ქონდა ღონისძიებათა მიღება ჭლექის წინააღმდეგ კავკასიაში. ბ-ნმა სტეფანოვმა კრებას უნდა გააცნოს, თუ რამდენად გავრცელებულია კავკასიაში ჭლექი, ან რა ღონისძიებანი მიუღიათ მის წინააღმდეგ. გააცნობს აგრეთვე ყველა იმ პროექტებს ამ საგნის შესახებ, რომელნიც სამკურნალო საზოგადოებას განუხილავს.

ტფილისის გუბერნატორმა მისწერა მაზრის უფროსებს, იმ ბეითალთ, რომელნიც სოფლებში იქმნებიან გაგზავნილნი საქონლის ჭირის, ან სხვა ავადმყოფობის წინააღმდეგ ღონისძიებათა მისაღებად, გზის ფული და სხვა ხარჯები მიეცემათო. ამის შემდეგ თუ რომელიმე ბეითალი გაგზავნით სოფლებში საქონლის ავადმყოფობის წინააღმდეგ ღონისძიებათა მისაღებად, საჩქაროდ მაცნობეთ, რომ დროზე მიეცეთ გზის ფული და სხვაო.

კვირას, 28 დეკემბერს, ტფილისის ქალაქის საბჭოს სადგომში კრება ქონდათ ტფილისის ხელოსანთა საზოგადოების დეპუტატებს. კრებამ განიხილა და დაამტკიცა მიმდინარე წლის პირველ ნახევრის შემოსავალ-გასავალი. შემდეგ კრება შეუდგა მეორე საკითხის განხილვას. ამ ჟამად არ იციან ნამდვილად, თუ რამდენი ხელოსანი ექვემდებარება ხელოსანთა გამგეობას, რომ ხელოსანთა რაოდენობის კვალად გაანაწილონ ხელოსანთა გამგეობის შესანახად საჭირო ფული. კრებამ დაადგინა, ხელ-ახლა მოახდინოს ხელოსანთა აღწერა. დასასრულ კრებამ აირჩია თორმეტის კაცისაგან სარევიზიო კომისია, რომელმაც რევიზია უნდა უყოს ხელოსანთა გამგეობის მოქმედებას და შეადგინოს მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვა.

28 დეკემბერს ქალაქის თავშესაფარში გამართულ იქნა შობის ხე სულით ავადმყოფთათვის. უკრავდა საზანდარი და გრამოფონი. სულით ავადმყოფებზე მუსიკამ კარგი სასიამოვნოდ იმოქმედა. დასასრულ ხილი დაურიგეს. საღამოს დაესწრო რამდენიმე ხმოსანი ტფილისის ქალაქის საბჭოსი.

ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ქალაქის თვითმმართველობის მოხელეთ დღესასწაულისა გამო 3,000 მანეთი მიეცეს. ნახევარი ამ ფულისა დაურიგდებათ ქალაქის გამგეობაში მოსამსახურეთ, დანარჩენნი იმ დაწესებულებათა მოსამსახურეთ, რომელნიც ქალაქის გამგეობას ექვემდებარებიან.

განსაკუთრებული ყურადღებაა ამ ჟამად მიქცეული, რომ ტფილ-სის ბაზრებში უვარგისი სანოვაგე არ გაიყიდოს. ქალაქის რამდენსამე მკურნალს დავალებული აქვს ქალაქ-ს გამგეობისაგან თვალყური ადევნონ ამა თუ იმ ადგილას მოტანილ სანოვაგეს.

გუშინ, 30 დეკემბერს, ტფილისის სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორი გ. ნ. სტეფანოვი პეტერბურგს წავიდა სრულიად რუსეთის მკურნალთა მეცხრე კრებაზე დასასწრებლად.

ტფილისის მოქალაქეთა მოურავს ი. ს. ბუღდანოვს მოქალაქეთა გამგეობისათვის განცხადება მიუცია, ჩემს თანამდებობას თავს ვანებებო.

ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოების გამგეობამ თანხმობა გამოუცხადა ტფილისის ქალაქის გამგეობას, შევიძენთ ქალაქის მესამე საობლიგაციო სესხის ობლიგაციებს 100,000 მანათისასაო.

ტფილისის დედათა საავადმყოფოს გამგემ სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას, ნება მომეცი იმ 1,200 მანეთით, რომელიც საავადმყოფოს გადარჩა წარსულ წელს, შევიძინო საავადმყოფოსათვის საჭირო ნივთებიო.

ტფილისის ქალაქის საბჭომ ამას წინად ნება დართო ქალაქის გამგეობას, 84 ათასი მანეთი ასესხოს ქალაქის ლომბარდს. ეს ფული ლომბარდს მესამე საობლიგაციო სესხიდან მიეცემა. ამავე სესხიდან უნდა გადაიდოს 50 ათასი მანეთი ფილტრების გასამართავად. რადგან ქალაქის გამგეობა აჩქარებს ახალ საყასბოს აშენებას, ამიტომ ქალაქის მოურავმა მოხსენება წარუდგინა ქალაქის გამგეობას, დააჩქარე მესამე სესხის ყველა ობლიგაციების განაღდება. მოურავს საჭიროდ მიაჩნია, გამგეობამ ლომბარდის და ფილტრებისთვის ფული საუნივერსიტეტო თანხიდან (100,000 მანეთი) მისცეს.

მომავალ წლის 12 იანვარს დედათა პირველ გიმნაზიის სადგომში დანიშნულია სალიტერატურო საღამო მასწავლებელ და ამღზრდელ ქალთა საზოგადოების წევრთათვის.

ტფილისის ქალაქის გამგეობის წევრმა თავ. ჩერქეზიშვილმა და სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორმა დაათვალიერეს ის ადგილები, რომელსაც სხვა-და-სხვანი უთმობენ ქალაქის გამგეობას კუკიაში ქალაქის საავადმყოფოს განყოფილების შენობის ასაგებად.

ძალიან კარგი შედეგი მოჰყვა კავკასიაში საქონლის ჭირის აცრას. აქამდე როგორც ჭირი გაუჩნდებოდა საქონელს, მაშინვე ხოცავდნენ, ახლა საბეითალო დეპარტამენტს გადაუწყვეტია, აღარ დახოცონ საქონელი, რადგან ადვილად რჩება აცრით. საბეითალო დეპარტამენტს გადაუწყვეტია, გაამრავლოს ბეითალთა შტატი კავკასიაში.

4 იანვარს დაიწყება გამოფენა ტფილისელ მხატვართა სურათებისა.

დღემდე თხუთმეტ სპეციალისტისაგან შევიდა თხოვნა ქალაქის გამგეობაში, ქალაქის მიწის მზომლის ადგილი მოგვეციო.

ქიმიურ ლაბორატორიის მეთვალყურემ გ. გ. ალიბეგოვმა და ქალაქის მკურნალებმა დაათვალიერეს ხალათოვის ქარვასლა. ნახეს თაფლი, რომელიც საეჭვოდ ეჩვენათ. უყვეს ანალიზი და აღმოჩნდა, რომ თაფლი სულაც არ ყოფილა. თაფლის პატრონნი პასუხის გებაში იქმნებიან მიცემულნი.

რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი „ჩემი ავტო-ბიოგრაფია“, თავ. ნ. თ. ჩოლოყაშვილი-ყარაბულახელის მიერ შედგენილი. წიგნი დაბეჭდილია ქართველთა ამხანაგობის სტამბაში. შეიცავს 22 გვერდს.

— ჩვენ მივიღეთ მეორე ახალი წიგნი „უბედი-აზირას რჩეული სიმღერები, მუხამბაზები და სხვა-და-სხვა ანგები“. წიგნი 38 გვერდს შეიცავს და ღირს 25 კაპ.

კუკიის სასაფლაოს სამზრუნველოს გადაწყვეტილებით, სასაფლაოზე არსებულის სამრევლო სკოლის გამგედ, ნაცვლად მ. გამრეკელისა, დანიშნულ იქმნა დეკანოზი მ. ვოსტორგოვი. ხსენებულ სკოლაში ენკენისთვიდან ქართულის ენის სწავლება გაუქმებულია. 46 მოსწავლეში, 6-ია რუსი; დანარჩენი ქართველთა ბავშვები არიან.

რამდენიმე დღე ბაქოში

(გაკვრით)

(დასასრული *)

ჩემს გაკვრითი შენიშვნებს ბაქოს შესახებ ისე ვერ გავათავებ, რომ დასასრულში არ შევეხო ერთს დიდ საქმეს ნავთის წარმოებისას.

მართალია ეს საქმე კერძო კაცის თაოსნობის ნაყოფია, მაგრამ მას ჩვენთვის, ქართველებისათვის, საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც მისი პატრონი ქართველია.

თუ რომ სხვა ცოტად თუ ბევრად წარჩინებულ ერთ ჰყავთ ბაქოს სამრეწველო ასპარეზზედ თავიანთი წარმომადგენელნი, მათი ვაჭრობა - კულტურის გამომხატველნი, არც ქართველების სახელია სრულიად უხსენები, ვინაიდგან ბაქოს ნავთის მწარმოებელ საუკეთესო ფირმათა შორის ზუბალაშვილის ფირმას საპატიო ადგილი უჭირავს.

სხვისა რა მოგახსენოთ და მე-კი რაღაც ეროვნულ სიამაყესა და უზომო კმაყოფილებასა ვგრძნობდი, როცა ბ-ნ ზუბალაშვილის ნავთის წარმოების ადგილს ვათვალიერებდი, მისის ნათესავის ბ-ნის დავით ანტონის ძის ზუბალაშვილის დახმარებით, რომელსაც დიდ მადლობას ვწირავ.

ასე მეგონა, თითქოს მთელი ჩვენი ეროვნული ძალა, ჯერ-ჯერობით უტყვი სავაჭრო-სამრეწველო სამფლობელოში, აქ მოგროვილაო, დიდის ხნის განმავლობაში მდორი, დაგუბებული, აქ, ამ უცხო ადგილას, აღმოხეთქილა იგი, ვით მედგარი, შეუპოვარი შადრევანი ნავთისა და ჩვენს სასახელოდ აჩვენებს ყველას, რომ ქართველსაც შეუძლიან დიდი საქმის შექმნა-წარმოება.

განსაკუთრებით საგულისხმიერო გახდება ეს საქმე ქართველთათვის, თუ წარმოიდგენს, რა დაუცხრომელი ენერგია, განსაკუთრებითი უნარი და ალღო იყო საჭირო, რათა ეს საქმე საქმედ მოგვარებულიყო.

„ბიბი-ეიბათი“, საცა ახლა ფიცხელი წარმოება ნავთისა, ამ ოც-და-ათის წლის წინად, სანაგვე ადგილი იყო და მაშინ ვინ წარმოიდგენდა, თუ ოდესმე „ოქროს ფსკერად“ გადაიქცეოდა, როგორც ამ ჟამად ეძახიან.

მაგრამ შორსმჭვრეტელმა ალღომ განსვენებულის კონსტანტინე იაკობის ძის ზუბალაშვილისამ (მამა სტეფანე ზუბალაშვილისა) იქ აართვა გეში, საცა სხვა სანაგვეს მეტს ვერას ხედავდა, და 1873 წ. ზღვის პირად შეისყიდა ათი დესეტინა ადგილი საკუთრებად.

ამ რიგად, ბიბი-ეიბათში პირველი ბარიდამკვრელი, ჩვენდა სასახელოდ, ქართველია.

სხვებს თურმე სიცილად არ ეყოთ ასეთი მოქმედება განსვენებულის ზუბალაშვილისა, მაგრამ იგი მაინც არ აჰყვა საზოგადო ხმას და დადგა საჭვრეთელი (ბურავია). მაშინ საქმის მოწყობა მეტის-მეტად ძვირად ჯდებოდა, რადგანაც რკინის გზა გაყვანილი არ იყო. ბიბი-ეიბათის მიწამ ნაყოფიერება ვერ გამოიჩინა; ნიადაგი იმ თვისებისაა, რომ საჭიროა ღრმად გაყარო—250—300—350 საჟენამდე და მხოლოდ მაშინ გამოჩნდება ნავთი უხვად.

სიტყვას აღარ გავაგრძელებ და მოკლედ მოვსჭრი: ერთის სიტყვით, ბევრი რამ გაჭირვება თურმე გამოსცადა განსვენებულმა; სხვა, მის ადგილას, რამდენჯერმე დაანებებდა საქმეს თავსა, მაგრამ, როგორათაც მტკიცე ხასიათის ადამიანს, სასოება არ ეკარგებოდა და იმედიც გაუმართლდა. მეოთხმოცდამეათე წლებში ნავთმა ძალუმად ამოხეთქა და აუნაზღაურა რაც ნივთიერი ზარალი, თუ ზნეობრივი ტანჯვა-ვაება გამოევლო. ერთი შადრევანი თურმე ორის წლისა და ორისთვის განმავლობაში ამოჩუხჩუხებდა, რაც ნავთის წარმოების მატიანეში მაგალითად არა ყოფილა. უკანასკნელ ხანში, აღარ მახსოვს, რა წელს, მეორე შადრევანი ექვსის თვის განმავლობაში თურმე ისვრიდა ნავთისა, დღეში 800 ათას ფუთამდე. მართალია, მაშინ ნავთის ფასი ისე დიდი როდი იყო, როგორც ახლაა, მაგრამ უზომო რაოდენობა ნავთისა მაინც დიდ ფულს იძლეოდა.

ბ-ნ ზუბალაშვილის წარმოების ადგილი ზღვის პირადაა და ნაყოფიერებით საუკეთესო ნიადაგი თურმე. ზღვაში გადა-

ფელეტონი

ღალატი

(დასასრული მეხუთე მოქმედებისა*)

IV

ზეინაბი (აჩქარებით და აღელვებით). — ოთარ-ბეგი სიკვდილამდე შენი ერთგული იქნება ახლა. თავისი გაიანე სიცოცხლეს ურჩევნიან. ჩვენთვის-კი ახლა საჭირონი არიან ერთგული კაცები. საქართველო ჰღელავს

სოლეიმან-ხანი. — ალ-რაზაკი მოჰკლეს. მკვლელი ვერ შეიპყრეს.—რუქაია გაიქცა. საქართველო ჰღელავს. ყარა-იუსუფი სიკვდილით დაისაჯა.

ზეინაბი.—დაისაჯა? რადა, რისთვის?

სოლეიმან-ხანი (დააშტერდება).—ღალატისათვის! დედოფალო ზეინაბ! დედოფალო ზეინაბ!

დედოფალი (ტანჯულის სახით ეხვევა მუხლებზედ).—რა! რას მიბრძანებ, ჩემო თვალის სინათლევ? რად მიყურებ ისე, თითქო გაქრობა გინდა ჩემიო? გარშემო ღალატსა ჰხედავ, იმან შეგაშინა და იმიტომ აღარ ენდობი შენს მონას?.. დიაღ, მონას, მონას მთელს თავის სიცოცხლეში. მაგრამ მე მონა ვარ, ხმლით დამორჩილებული და არა ოქროთი სყიდული, არა ნაჩუქარი... მე მონა ვარ შენის მრისხანე თვალებისა, შენის ლომ-გულისა, შენის რკინის მარჯვენასი... (კილო მისის ლაპარაკისა უნებურად იცვლება და მწუხარებითა და გულის-წყრომით განაგრძობს). შენს მეტი რაღა შემარჩინე? შენ შეიწირე ჩემი შვილი, სამეფო, სარწმუნოება... (იცვლის კილოს) შენ დაიმორჩილე და გაანადგურე ყოველივე და მე, როგორც ტრედი, ისე ვიკუნტები არწივის ფრთეთა ქვეშე... სად უნდა გავიქცე შენს იქით? სად უნდა გავფრინდე? ყოველივე შენ გიპყრავს ძრიელის პრჭყალებითა... და სწიწკნე მაგ პრჭყალებით ყველა და არა მე... (კიდევ გული ვერ უთმენს). სწიწკნე, ვიდრე შენი პრჭყალები... (დაიჭექებს საშინლად და გაიგდებს ძლიერ). უი!

სოლეიმან-ხანი —რა დაგემართა?

ზეინაბი (დაიმშვიდებს გულს).—შემეშინდა. გული გამიწვრილდა ამდენის წუხილითა და შენთვის ზრუნვითა... და შემეშინდა... ნუ მიყურებ მაგრე.

სოლეიმან-ხანი ხმაზე გატყობ სიყალბეს.

ზეინაბი (გულ-მოსული). მაშ, აიღე და მომკალი... მორჩები და მოისვენებ. ხმაზე მატყობს სიყალბესა! გარყვნილ რუქაიას რაღას ატყობდი ხმაზედ? სიმართლესა? მოღალატე ყარა-იუსუფსა? სიმართლეს ატყობდი ხმაზედ? სოლეიმან, მე-კი არა, შენი გულის-ყური გღალატობს, შენი თვალები, შენი ყურები გატყუებს. ვარსკვლავები შავად გეჩვენება და მაშ ეს ღრუბლები გინათებენ ღამესა? მომკალ, მომკალ! სიხარულით მოვკვდები, ოღონდ-კი შენი გული დამშვიდდებოდეს! ორში ერთი: ან მენდე და მერწმუნე, ან მომკალ და გამათავე.

სოლეიმან-ხანი (მორბილდება, მაგრამ თავ-პირი მაინც ჩამოშვებული აქვს). აქამდე სიკვდილი მხარ და მხარ დამდევდა, წინ მისწრობდა და არას დროს თვალებში ყურება არ დაუწყვია ჩემთვის. ახლა ჩემსკენ იბრუნა პირი... ჩემს მტრებს ზურგი შეაქცია და მის თხემიდან ისე დაჰბერს სიცივე, თითქო იალბუზის საყინულეაო (ზეინაბი ისე უყურებს, თითქო სიკვდილი შესცქეროსო). მე ჩემი გზა განვვლე. რისხვით იყო იგი მოსილი, როგორც ისლამი და დიდებით გაშუქებული. მაგრამ მაჰმადმა სთქვა: ვის ფეხნიც მოუცვამს ალლაჰისათვის გადახდილ ომის მტვერს, უფრო შორს იქნება გეჰენაზედ დღესა მას საშინელსა განკითხვისასა, ვიდრე ის მანძილი, რომელსაც ქარივით ფეხ-მარდი ცხენი გაივლის ჭენებით ათას დღეშიო. (შემოდის ოთარ-ბეგი, იმას მოჰყვებიან ისახარი და გაიანე, პირ-ბადით მობურვილი ისე რომ მხოლოდ თვალები უჩანს).

V

ზეინაბი (გაექანება მისკენ). დაანებე თავი მაგ ფიქრებსა, ძლიერო და დაინახე ეს შვენიერება (გადახდის პირ-ბადეს გაიანეს და მიიყვანს სოლეიმანთან. გაიანე გაფითრებული, პირ-გამეხებული. ზეინაბი სწრაფად მოავლებს თვალს ოთარ-ბეგს).

ოთარ-ბეგი (ოდნავ გასაგონის ხმით). ჩვენებმა დაიჭირეს ალაყაფის კარები. ორბელიანი უკვე გალავანშია.

ზეინაბი. დაინახე ამისი თვალები, ხელმწიფეო... ახლა გაბოროტებით ცეცხლსა ჰყრის... გაგარეულებულია, დამფრთხალია... მაგრამ როცა გულის თქმა გაუბრწყინებს ამ თვალებს (ყური გარედ უჭირავს და ისე განაგრძობს ლაპარაკს, თითქო არც-კი ესმის, რასაც ამბობს). როცა ალი ტრფობისა აღეგზნება და სიამით დათრობისსურვილი დაუწყლიანებს ამ შვენიერს თვალებს... ეს თმები-და... ეს სარო ტანი...

სოლეიმან ხანი (სტკბება გაიანეს ცქერით). ფადიშა მადლიერი იქმნება.

გაიანე (წყრიალა ხმით). არა.

სოლეიმან-ხანი (ყურადღებას არ აქცევს გაიანეს). ზეინაბ, შენ თვითონ წაჰგვარე ფადიშასა.

გაიანე. მხოლოდ მკვდარი.

სოლეიმან-ხანი (ისახარს). წაიყვანე.

ისახარი (უნდა ხელი გამოართვას). წავიდეთ, ქალაია.

გაიანე. ხელს ნუ მკიდებ! წამიყვანე და მაჩვენე, სად არის ჩემი საპყრობილე.

ისახარი. გაჩვენებ (მიჰყავს გაიანე).

VI

სოლეიმან-ხანი. ოთარ-ბეგ! მადლიერი ვარ შენის გულ-მოდგინებისათვის. თვითონ დედოფალი წაიყვანს შენს ქალს ისპაანს.

ოთარ-ბეგი. დიდია წყალობა შენი, ხელმწიფეო და ვეცდები სამაგიერო გადაგიხადო.

სოლეიმან ხანი. ხვალ მეამბოხეთა ბრბონი გაფანტე, თუ სადმე დაძრწიან ტფილისის ახლო-მახლო. წადი, ოთარ-ბეგ. (ოთარ-ბეგი დაბლა თავს დაუკრავს და გავა მარჯვნივ).

ზეინაბი (გაიანეს გაცილებს). რა ქექა-ქუხილია! ხელმწიფეო, მოღალული ვარ... ლამის წავიქცე! ოხ, რამდენი დარდი და მწუხარება გამოვიარე ამ მცირე ხანში! (სოლეიმანი [illegible] იყურება). რას უცქერი ამ სიბნელეში?

სოლეიმან-ხანი. მკვდრებისა გეშინოდეს, ცოცხლებისაგან-კი მეტეხი დაგიფარავს. წადი იქ.

ზეინაბი. (განცვიფრებული შიშით, ისე შეძრწუნდება). მეტეხს? რადა? რომელ მკვდრებისას ამბობ?

სოლეიმან-ხანი. — არაბეთის უდაბნოში აღვიზარდე, დავიპყარ სინდეთი და ჯებალი, ჰინდის წყალით განვიბანე წმინდა რჯულისამებრ და მხოლოდ მას შემდეგ შემოვიტანე მახვილი ისლამისა კავკასიაში. ჩემი გული მუდამ ამას მეუბნებოდა ჩურჩულითა: სოლეიმან, გეცვას წრილ-თვალა რკინისა, გეხუროს ჩაფხუტი, ამოწვდილი გქონდეს მახვილი—მტერი შენი ახლოა, აი აქვეა, მთას უკან, ჩალიანებში, წყლის ნაპირად, უდაბნოს ქვიშაში მიწოლილა და გიყურყურებს. და მეც, ვიდრე მხედარი ვიყავ, სიბნელეშიც ვხედავდი, გამხმარის ფოთლის ფაჩი-ფუჩიც-კი მეყურებოდა და, როგორც ქორი წამოვიდეს მაღლიდან და დაჰქროლოს ჩიტს, ისე დავეცემოდი ხოლმე მტრებს თავსა. ახლა-კი ოცის წლის უმოქმედოდ ყოფნამ მომადუნა, გამაბრუა. ვგრძნობ საფრთხესა, მაგრამ ველარ მიმხვდარვარ, საიდან მოდის. (მარცხნივ ეივნიდან ისმის ხმა რუქაიასი: «ღალატი! მეფეო, ღალატი!» სოლეიმანი იცნობს თუ არა რუქაიას ხმას, წელში გასწორდება უცბად, გველ-ნაკბენივით და, მიხვდება რა, როგორც არის საქმე, ხელში სწვდება ზეინაბს.

სოლეიმანი—გველო!

ზეინაბი. გამოჩნდა! აიგერა გველი! მაგას უნდა ჩემი სიკვდილი! (შემოვარდება რუქაია).

VII

რუქაია (ნაბად-წამოსხმული, მოიგლეჯს ყაბალახსა, თმები ჩამოეფინება პირისახეზედ და მხრებზედ).—ხელმწიფეო, დროზედ მოვასწარ მოსვლა! დაგიხსენი სიკვდილისაგან... დედოფალმა გიღალატა.

ზეინაბი (მხნედ, სცდილობს დრო გაიგოს).—ღალატი და ორგულობა შენს გულშია დაბუდებული, უნამუსო მონავ! ცილის წამებით გინდა მიაფუჩეჩო შენი გარყვნილება! სად არის შენი საყვარელი? ვისთან გაიქეცი?

რუქაია (გაცოფებით). ჩემი საყვარელი? ჩემთან არის! (გაექანება აივნისაკენ და შემოჰყავს ერეკლე გაჩქარებით). აგერა!

ზეინაბი (განწირულის გაბრძოლებით გაეშვება სოლეიმანს, გაექანება შვილისაკენ და [illegible]; გულის სიღრმიდან წამოსულის აღმოთქმით დაეცემა ძირს).

რუქაია (ქოშინებს და სული ყელში ებჯინება).—შიში ნუღარაფრისა გაქვს, ხელმწიფეო. კვალ და კვალ ვსდიე მელას... ძლივს მოვახერხე აქ შემოსვლა... ციხის გარშემო აუარებელი ბრბოა ხალხისა... კედლებს შემოხვევიან... მთა-გორებში ირევიან... სახლის ბანებზედ დაგროვილან... ყველგან მრავლად არიან... მათი ნიშანია—«საბა ბერი»... უამისოდ... (ხმა ჩაუწყდება).

სოლეიმანი. ვინ არის ეს კაცი... (დააკვირდება ერეკლეს და ნელ-ნელა უკან იწევს, თითქო მოჩვენება მოელანდა და ეშინიაო). მკვდარნი სდგებიან სამარიდან!

რუქაია.—შენი ერთგული ყმაა... ამან გასცა ყველანი. ამას უნდა აეფეთქებინა მეტეხი. მუქარით აიძულებდნენ, მოატყუეს, მეფის-ძე ხარო... მაგრამ მე ვუთხარი, გავიქცეთ ხელმწიფესთან, ვუამბოთ ყოველივე... მეფურად დაგაჯილდოებს მეთქი...

სოლეიმან ხანი. (გონს მოვა, წასწვდება სასწრაფოდ ზეინაბს, გააჯანჯღარებს და წამოაყენებს ზეზე). ეს შენი შვილია?

ზეინაბი (თავზარ-დაცემული, გათახსირებული). არა.

რუქაია (ერეკლეს). გესმის?!

ერეკლე (უკიდურესის გაკვირვებით). არა, მეფეო, მე ბუში ვარ. გამზარდეს იმიტომ, რომ დავეღუპენით. როგორც კურატი ისე უნდა დავეკალით და სისხლი თქრიალით მდენოდა... ჩემს გვამზე უნდა დაედგა ფეხი ოთარ-ბეგს და ისე ასულიყო სამეფო ტახტზე...

რუქაია (წაჰგლეჯავს ასაფეთქებელს პატრუქს გულიდან). აი, ხელმწიფეო, რა მი-

---

*) იხ. „ივერია“ № 278.

*) იხ. „ივერია“, № 279.

კიდულია ორი ნავთ-სადუღელი, რომელთაც დღე მუდამ ადგება სანავთო გემ-ნავლიკები და მიაქვს ნავთი შავ ქალაქში. ზუბალაშვილის ფირმას სამს უმთავრეს ფირმასთან თურმე აქვს საქმე დაჭერილი: როტშილდისა, ნობელისა და „მაზუთის" ამხანაგობასთან (ეს ფირმები, იმის გარდა, რომ თვით არიან მწარმოებელნი, აგრეთვე ადგილობრივაც ყიდულობენ ნავთსა, ამუშავებენ და საზღვარ-გარედ ასაღებენ).

ამ ჟამად ზუბალაშვილების ადგილზე 32 „ვიშკა" დგას; იმ ოც და თორმეტში მოქმედობს 21 და 9 გაჩერებულია; ამ 21-ში 15 უკვე ნავთს იძლევა ხაპირის მზგავს ამოწურვის საშუალებით; 6-ში კი საჭვრეთელს ამუშავებენ, ე. ი. საჭვრეთელის საშუალებით მიწას სთხრიან და ხვრელში მილებს უშვებენ, ვიდრე ნავთამდე მიაღწევენ; ამას გარდა ოთხი ახალი „ვიშკა" კიდევ იდგმის; ორი უკვე მზად არის და ელექტრონის ძალით მოქმედობს; ორსაც მალე დაასრულებენ და იმავე ელექტრონის ძალით იმუშავებს.

ყოველდღიური რაოდენობა ამოღებულ ნავთისა 30—40 ათას ფუთს უდრის, ასე რომ აწინდელის ფასის მიხედვით დღეში ხუთას-ექვსასი თუმანია შემოსავალი.

თვიური მუშა-ხელოსანი 264 კაცია; ამას გარდა 40—50 კაცამდე დღიური მუშაა, რომელთაც მოიჯარადრე ამუშავებს.

მუშები ეროვნებით ასე განიყოფებიან:

ლეკები . .	180	კაცი.
რუსები . .	40	კაცი.
სპარსელები .	25	კაცი.
ყაზანელი თათრები	14	კაცი.
სომხები . .	4	კაცი.
ქართველი .	1	კაცი (მესხიძე)

(საზოგადოდ მუშათა შორის ქართველთა რიცხვი მცირეა.)

რვა კაცი კიდევ ჩეხია, რომელთაც აბარიათ სხვა-და-სხვა სახელოსნოები: სამჭედური, ელექტრონის სადგური, იარაღის საწყობი და სხვა. ორიც ნემეცია და ერთი ებრაელი.

მუშის სასყიდელი 18 მანეთიდგან 25 მანეთამდეა თვეში. ამასთანავე მათ წელიწადში ორჯერ საჩუქარი ეძლევათ—საახალწლოდ და სააღდგომოდ; აგრეთვე ეძლევათ საჩუქარი, როცა ნავთი ახეთქავს ხოლმე. რაკი მუშებზედ დაწყე ლაპარაკი, ბარემ დავასრულებ კიდეც: მუშებს აქვთ სადგური ცოლიანშვილიანებს ცალ-ცალკე ზოგს ოთახი და სამზარეულო, ზოგს ორი ოთახი და სამზარეულოც. უცოლ-შვილონი დიდ დარბაზებში არიან მოთავსებულნი. ესენი განსაკუთრებით ლეკები არიან და ერთად ცხოვრობენ.

დავათვალიერე მუშათა სადგომები და უსამართლობა იქმნება არ აღვნიშნო, რომ სისუფთავესა და ჰაერის უხვად მოძრაობას დიდი ყურადღება აქვს მიქცეული. თვით სადგურები თლილი ქვისა. ლაზათიანი შენობებია. თითოეულ მუშას (საერთო დარბაზებში) ხის ტახტი უდგას ლოგინ გადაფარებული, მეორეზედ მოშორებით. როცა ლეკებთან ავედით, მათებური ზურნისა და სიმღერის ხმა შემოგვესმა. ერთი ჯგუფი მორიგეთა მუშაობის შემდეგ ისვენებდა და მხიარულებას მისცემოდა. დარბაზები და სადგურები, როგორც ყოველისფერი შენობა, ელექტრონით განათებული. სადგურები ზღვის პირად არის გაშენებული და კაცს თვალ-წინ სამი სურათი ეფინება; ეს-კია, რომ კასპის ზღვა უფრო საქმიანობის იერით არის მოსილი, ვიდრე მშვენება-სილამაზით.

მუშათ ეძლევათ მარილ-გამოხდილი წყალი (იქვეა მანქანა) და აქვთ საკუთარი საბანაო—ლეკებს ცალკე, ქრისტეანთ ცალკე.

მუშები სამუშაოდ მორიგეობით მიდიან. საჭვრეთელზედ მომუშავენი 6 საათის განმავლობაში მუშაობენ და მერე რვა საათს ისვენებენ; ნავთის ამომღებნი-კი 4 საათს მუშაობენ და რვა საათს ისვენებენ. ეს იმიტომ, რომ ნავთის ამოღებაზედ ზედი-ზედ შეუწყვეტლივ უნდა იდგე და საჭვრეთელზედ-კი, რაკი საჭვრეთელს ჩაუშვებენ—სვენებ-სვენებით უხდებათ მუშაობა.

რომ მუშათა მდგომარეობა ბ-ნ ზუბალაშვილის წარმოებაში შედარებით კარგ დონეზედ არის დაყენებული, ამას ისიც ამტკიცებს, რომ ბაქოში მუშათა მოძრაობის დროს, მისი ქარხნები. მუშები თურმე იძულებულნი იყვნენ სხვა მუშათა ძალდატანებით აეღოთ მუშაობაზედ ხელი და ისიც ცოტას ხნით. ამას გარდა ერთ ხშირად არ ნახავთ სასამართლოებში ზუბალაშვილზედ მუშისაგან მირთმეულს, მაშინ როდესაც სხვა ფირმათა შესახებ ესევე არ ითქმის.

ზუბალაშვილის ნავთის საქმეს ადგილობრივ ბიბი-ეიბათში ტეხნიკურად აწარმოებს ერთი ჩეხელი ხელოსანი, რომელიც პასუხის მგებელია ყველანაირ უბედურ შემთხვევის გამო. საერთოდ-კი, თვით სტეფანე კონსტანტინეს-ძის მუდმივ ხელმძღვანელობით მის საქმეებს უვლის თომა გრიგოლის ძე გრიგოლაშვილი.

მთელი ეს წარმოება მეტის-მეტად დიადი რამ არის და ამიტომ მოკლე საგაზეთო წერილში (ისიც გაკვრით) ძნელია მისი დახურათება; ამას გარდა, საჭიროა სპეციალური ცოდნა და დრო, რომ ყველაფერი შეიგნო და შეითვისო. აღსანიშნავია აგრეთვე ის გარამოება, რომ ზუბალაშვილი ერთად ერთი მესაკუთრეა ბიბიეიბათში, გარდა ინგლისელთა კომპანიისა, რომელმაც თადიევისაგან შეისყიდა მიწა. დანარჩენი მესაკუთრენი იჯარით არიან სახელმწიფო მიწაზედ.

საერთო შთაბეჭდილება-კი ერთი რაღაც ზღაპრული ბუმბერაზი, თითქოს შენ წინ სარაკო რამ ხდებოდეს და არა შენსავით ჩვეულებრივნი მომაკვდავნი იყვნენ მისი ამომძრავებელნი, განსაკუთრებით როცა შეხედავ ხუთ, მდევივით უშველებელ, ბელელს ნავთისას, რომლებიც ათი ათასობით იტევენ ნავთს, ან ორთქლის ძალის შემმუშავებელ სადგურებს, რომელთა მანქანების ელვარება ცეცხლის მფრქვეველ მთებს მოგაგონებთ.

დიადია ეს საქმე, მეტის მეტად დიადი და მით უფრო გული სიამით გვევსება, რომ მისი დამწყობნი და განმგრძობნი ქართველნი არიან, შენი სისხლ-ხორცნი და სიამაყით შეგიძლიან სთქვა, რომ ქართველთაც ჰყავთ საამდროვო კულტურულ ძლევა მოსილების გამომხატველნი სავაჭრო-სამრეწველო ასპარეზზედ.

ი. ზ-

შეცდომის გასწორება.

278 №-ში მოთავსებულ წერილში რამდენიმე კორექტურული შეცდომაა, რომელსაც აქვე ვასწორებთ:

მეორე გვერდზე, პირველ სვეტის მეთოთხმეტე სტრიქონში ზევიდამ დაბეჭდილია: «ადენს» უნდა იყოს «ახლდეს»

იმავე სვეტის მეოცე პირველ სტრიქონში ქვევიდამ დაბეჭდილია «გრძნობს» უნდა იყოს: «გრძნობდა»

იმავე სვეტის მესამე სტრიქონში ქვევიდამ დაბეჭდილია: «ერთმანეთს გაურბით, თვით საქმეს» უნდა იყოს «ერთმანეთს გავურბით, გაურბით თვით საქმეს»

მესამე სვეტის მეოცე მეორე სტრიქონში ზევიდამ დაბეჭდილია: «რომ ასეთი ყოვლად წარჩინებული წევრი ჰყავს!.. და კიდეც ამაყობს» უნდა იყოს „ბაქოელ ქართველთა კოლონიას ისეთი წარჩინებული წევრი ჰყავს, რომ თამამად შეუძლიან იამაყოს... და ამაყობს კიდეც".

კავკასია

როდესაც შავის ზღვის ნაპირად ზოგიერთ ვაჭრებმა ჩაის ბუჩქის გაშენება დაიწყეს, საუფლისწულო მამულების მმართველობამაც ყურადღება მიაქცია ამ საქმეს და ამ მამულების ინსპექტორი კლინგენი გამოგზავნა კავკასიაში შავის ზღვის ნაპირების შესასწავლად. მისი მოგზაურობის ამბავი ქუთაისიდგან სამეგრელოზე სოხუმამდე ამ ოთხი წლის წინად გვქონდა დასტამბული თ. ა. ბ-ზაზუას აღწერილობით. მას შემდეგ ბ-ნი კლინგენი შორეულ აღმოსავლეთში გაემგზავრა, ინდოეთს, ცეილონს, ჩინეთს და სხვა, სადაც კი ჩაის ბუჩქი ჰხარობს და ჩაის მოყვანის საქმე კარგად შეისწავლა. მაშინვე ბ-ნი კლინგენი იმ აზრს დაადგა, რომ ბათომის მიდამო და საერთოდ შავის ზღვის აღმოსავლეთის ნაპირ სწორედ შესაფერის ჰავით და ნიადაგით ჩაის მოსაყვანად. თვით ჩაის ბუჩქები გამოიწერა და მცოდნე ჩინელები დაიბარა, რომლებიც შეუდგნენ ჩაის გაშენებას. ეხლა საუფლისწულო მამულების განმგებლობას 180 დესეტინა მიწა აქვს ჩაის ბუჩქით გაშენებული. ჩაქვის ჩაი უკვე სცადეს და დარწმუნდნენ, რომ ჩინეთისა და იაპონიის ჩაის არ დაუვარდება. ბ-ნ კლინგენის აზრით, შავის ზღვის ნაპირს 150,000 დესეტინა თავისუფალი მიწა არის, სადაც ჩაის ბუჩქი კარგა იხეირებს. საჭიროა ამ საქმეს უფრო მეტი ყურადღება მიექცეს, რადგან ამ მხარეს იმდენი ჩაი მოვა, რომ მთელს რუსეთს დააკმაყოფილებს.

რუსეთი

რუსეთი. საბაჟო პოლიტიკა რუსეთისა ბევრს რუს ვაჭარს ცუდს დღეს აყენებს და უკანასკნელ ღონისძიებას ართმევს, რომ უცხოეთის ვაჭრებსა და საქონელს შეებრძოლოს. ბევრს რუსეთის ნაწარმოებს სამოგზაუროდ ჰგზავნიან საზღვარ გარედ, რომ იქ უცხო ნაწარმოების სახელი მოიხვეჭოს და გვარიან სამშობლოს დაუბრუნდეს. უცხო ვაჭრები თითქო ქირაობენ რუსეთის საქონელს: გაიტანენ რუსის ნაწარმოებს, ბაჟს გადიხდიან, მერე ისევ შემოიტანენ და კვლავ ბაჟს იხდიან, ბოლოს კი ბაჟისაც და გზის ხარჯსაც ისევ რუსეთის ქვეშევრდომებს ახდევინებენ,—ნაქირავებ საქონელს ერთი ორად და სამად ჰყიდიან. ერთი ამისთანა მაგალითი აწერილია რუსულ გაზეთში. რუსეთის ჩაის ყიდვა-გაყიდვაში უპირველესი ადგილი უჭირავს ევროპაში და რუსის ჩაი გათქმულია. ყველგან რუსეთიდან მოტანილ ჩაის კარგა გასავალი აქვს, გარდა ფინლიანდიისა, სადაც ეს საქმე უცხოელ ვაჭრებს უფრო კარგად აქვთ მოწყობილი. ერთს რუს-ვაჭარს, რომელსაც ცნობილი ფირმა და დიდი აღებ-მიცემობა აქვს, განუზრახავს რუსის ჩაი ფინლიანდიაშიც გაავრცელოს და ხელშეკრულობა დაუდვია ფინლიანდიის სოვდაგრებთან, რამდენიმე საპალნე ჩაი ჩააბაროს. დაუქირავებია შორეულ აღმოსავლეთში გემი, დაუტვირთნია ჩაით და მოუტანია პეტერბურგის ნავთსადგურში.

რადგან რუსეთიდგან საზღვარ გარედ გატანილ ჩაის მცირე ბაჟი ერთმევა, ვაჭარს განუცხადებია, რომ ეს საქონელი საზღვარ გარედვე მიმაქვსო. ხოლო მისი განცხადება სადამოჟნომ არ შეიწყნარა, რადგან გელსინგფორსი რუსეთშია და არა საზღვარ გარედო. ძალა-უნებურად ვაჭარმა ჩაით დატვირთული გემი მართლა საზღვარ გარედ გაამგზავრა და უახლოვეს ნავთ სადგურს მიაყენა. იქ, რა საკვირველია, ბაჟი გადიხადა და მხოლოდ მაშინ საქონელი გელსინგფორსს გაგზავნა. ამ მოგზაურობითა და ბაჟებით ჩაის პატრონმა კარგა იზარალა და საქონელიც მყიდველს დროზედ ვერ ჩააბარა. ამის შემდეგ რომელი ვაჭარი გაჰბედავს ჩაის ყიდვა გაყიდვაში შეეცილოს უცხო ვაჭრებს, რომლებიც ფინლიანდიაში გაბატონებულან და რუსის ვაჭრობას ხელს უშლიან.

უცხოეთი

ამერიკა. მომავალ წელს ჩრდილო-ამერიკის შეერთებულის შტატების პრეზიდენტის არჩევნები იქმნება. ამ არჩევნებს იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ სხვა-და-სხვა დასები უნდა შეუდგნენ მზადებას, თუმცა არჩევნები ნოემბერში უნდა იყოს. რესპუბლიკელების კანდიდატად ისევ რუზველტი იქმნება. მდიდრების კანდიდატად-კი სენატორ განნს ასახელებენ. თუმცა რუზველტს უფრო იცნობენ და რიგიან კაცად მიაჩნიათ, მაგრამ შესაძლოა მისმა მოწინააღმდეგემ გაიმარჯვოს, რადგან მდიდრები ფულსაც არ დაზოგავენ არჩევნების დროს და თავის მომხრეებს მოუყრიან თავს.

იაპონია. შემოდგომას აქეთ ევროპის ფოსტა ციმბირის რკინის გზით ეგზავნება იაპონიას. ამას წინად მოხსენებული გვქონდა, რომ ამ გზით ბევრით ადრე მიდის ფოსტა შორეულს აღმოსავლეთში, ვიდრე ზღვით. ეხლა-კი სულ სხვა ცნობები მოდის. 3 რიგი ფოსტა, პარიჟიდგან და ბერლინიდგან 30 სექტემბერს გაგზავნილი, ტოკიოს მისულა 27 ოქტომბერს, ე. ი. 28 დღეს.

მ კაცს შენმა ერთგულმა ზეინაბმა. შენი ურჯი, ძლიერება—მეტეხი—ჰაერში იქმნებოდა ასროლილი, მე რომ არ ჩამეხედნა მაგის ცრუ გულში. მე დაგიხსენი.

სოლეიმან-ხანი. ზეინაბ, მე მაღლა ვსდგევარ. ჩემზე მაღლა კიდევ ღმერთია. ტალატი ძირს გდია. დაე, შემიპყრას, თუ შეუძლიან (მიჰყურებს ზეინაბს). ვინ გიხსნით ახლა თქვენ?

ზეინაბი. მეფე სოლეიმან, რა შავ-ქვად მინდა ახლა ხსნა? ხომ ხედავ, ვინც გამყიდა... რაღა საჭიროა ხსნა?! (ერეკლეს მიმართავს ზეცის ხმით და გამოუთქმელის მწუხარებით). დიაღ, შენ ჩემი შვილი არა ხარ, არა! მე მინდოდა დამეღუპე... კარგი, მაგრამ შენი სამშობლო?.. შენი ძმები?.. ჯვარი შენს საზიზღარს გულზე?.. ნუ თუ ყოველივე... ყოველივე უნდა გაგეყიდნა მაგ მონის ალერსისათვის... იმის წყალობისათვის, ვინც შენის ქვეყნის სისხლი დაღვარა?!! იცი-კი, რა მოიქმედე? ო, უკეთესი მოკვდებოდე და ამას-კი არ გაიგებდე! იცი, რა მოიქმედე? შენ დააბნელე მზე ამოსავლის წინად! შენ გაამეფე უკუმეთი ღამე შენს სამშობლო ქვეყანაში!

ერეკლე. რუქაია! გონება მებნევა... რუქაია! მართლის ხმა მესმის.

რუქაია. მე დაგიხსენი, ხელმწიფევ.

სოლეიმან-ხანი (სტკბება ზეინაბის გათახსირებით). ზეინაბ! ეს არის შენი შურისმძიებელი? გცოდნია ამორჩევა. (კარებისკენ მიმართავს). ეი, დარაჯნო! შეიპყარით ოთარ-ბეგი და ამ წუთშივე აქ მომგვარეთ! დაკათ ნაღარა... მთლად ამოსწყვიტეთ დედოფლის ჯარი. (ხელჩართული ბრძოლა სცენის უკან. საშინელი წივილ-კივილი ისმის. ჩხარა-ჩხური იარაღისა)

ზეინაბი (მიაშურებს ერეკლესთან). დაიხსენი თავი საშინელის სირცხვილისაგან! წადი, იქ შენთვის თავსა სწირავენ. გასწირე შენც იმათთან თავი. ო, ნუღარ იცოცხლებ თავს! ნუღარ იცოცხლებ! ხალხი არ შეგინდობს, არ გაპატიებს... იქნებ ქრისტემ... შენგან გაყიდულმა... ავაზაკის მიმტევებელმა... გაწი! გასწირე თავი!

ერეკლე (განწირულებით შეჰკივლებს). რუქაია!

რუქაია (არ უყურებს ერეკლეს). მე დაგიხსენი, ხელმწიფევ!

სოლეიმან-ხანი (მრისხანებით). ზეინაბ! სამასხროდ არ შექმნია ღმერთს ქვეყანა და სათამაშოდ—ეს ვიდრე მოგაკვდინებენ, კვლავ იხილავ იგივესავე, რაც იხილე ოცის წლის წინეთ. ხელმეორედ ჩაუნგრევ შენს შვილს გულ-მკერდსა, მაგრამ ჯერ ხალხმა უნდა გნახოს, როგორ გაჰყიდა შენმა შვილმა ერი, ვისი და დედა თვისი. მეტეხის სიმაღლიდან დაინახავ, როგორ დაიწყებს სისხლი თქრიალს მის კედლების ძირში. შენ მოუყარე თავი შენს ერს და შენვე დაადებ მოკიდულ პატრუქს მის ამოსაწყვეტად მიმართულ ზარბაზნების ფალიას (ფანჯარა განათდება სამხრეთის წითელის ალით. ძლიერად უჭექს ყუმბარის აფეთქების გრიალი. ისმის, როგორ ალის ჰკერში იფეთქებენ ციხის ნანგრევნი. საშინელი წივილ-კივილი და თოფ-იარაღის ჩხარა-ჩხური. რუქაია გარბის განწირულის წივილ-კივილით.

ზეინაბი. ოჰ, ანნა! დაგიხსნას და დაგიფაროს ღვთისმშობელმა დედამ!

ერეკლე (გაექანება კარებისაკენ). დედა! ნუ მიუტევებ ცოდვილსა, ილოცე მკვდრისათვის! (გარბის).

VIII

სოლეიმანი (გაშმაგებული შიშით და ძრწოლით, ეცემა კედელს, საცა თოფ იარაღი ჰკიდია და სტაცებს ხელს დამბაჩასა და ხმალს). მოვედით ჩემდა, მხედარნო ალლაჰისანო! (გაცხარებული ბრძოლა თითოეულ კარებში და ავანსცენაზე. ავანსცენაზე შემოვარდება ხმალ-და ხმალ დათო და ეცემა მისკენ გაქანებულს სოლეიმანს).

დათო. მგელო გამოდი შენის ბუნაგიდან! (გულ და გულ დაეტაკებიან ერთმანეთს და დასცემენ მახვილს).

ზეინაბი (ავანსცენაზედ, დაჩოქილი ამ შებრძოლების წრით), — ყოვლად-წმინდაო ღვთისა დედაო! შენს განგმირულს გულს მოვმართავ ჩემს ვედრებით! მარტო მე მკითხე ცოდვა ჩემის შვილისა, მარტო მე მკითხე, მე გამამხდევინე! (დათო ჩაიგდებს ფეხ-ქვეშ სოლეიმანს და დაჰკრავს მუხლს მკერდზე. შემოცვივიან: ორბელიანი, მაღალ-მაღალი, მელოტი მოხუცი, სუმბატი ჭაღარა მეფუდლის წვერითა, სხვა წინამძღოლნი, გლეხ-კაცნი. საბა შემოდის და ცალ-ხელში ჯვარი უჭირავს ხოლო მეორეში—ამოწვდილი ხმალი. ხმაური ბრძოლისა და სროლისას ემატება ზარების რეკა. მარცხნა კარებიდან შემორბის გაიანე, მას მოსდევს ისახარი).

IX

გაიანე. დათო!

ყვირილი კარებში. ციხე ჩვენს ხელშია, მტერი გარბის. გაუფრთხილდით დედოფალს. სად არის სოლეიმანი? სიკვდილი სოლეიმანს!

დათო (გადაგრეხილი ჰყავს სოლეიმანი მუხლ ქვეშ). — წინამძღოლნო! სოლეიმანი აქა მყავს გათანგული!

ისახარი. ჩაუნგრიე გულ-მკერდი ისე, როგორც მაგან ჩაუნგრია გულ-მუცელი შენს ძმასა! გაჰქელე, როგორც მაგან გაჰქელა შენი ქვეყანა! (მივა ტანზე ხელს დანარცხებულ სოლეიმანთან). ჰხედავ თუ არა მკვდარს ყმაწვილს, უძლეველო სოლეიმან? იმის ძმის მუხლი გინგრევს მკერდს, ისე როგორც შენის ცხენის ფეხმა ჩაუნგრია იმას გულ-მუცელი, უძლეველო სოლეიმან! (სტაცებს ხელს ახლო მდგომარე მხედრის ამოწვდილს ხანჯალს). დაე, შენმა სისხლმაც ისე დაიწყოს თქრიალი, როგორც იმისი თქრიალებდა, უძლეველო სოლეიმან. (მოუღერებს ხანჯალს ჩასაცემად).

საბა (სასწრაფოდ დაუჭერს ხელს). — შესდეგ! ვის შეუძლია განკითხვა ამისი, როცა დედოფალი თამარ აქა ბძანდება? ყმაწვილო, აუშვი ხელი. ახლა ეგ საშიში აღარ არის. (დათო მუხლს მოაშორებს. ბრძოლის ყიჟინი ნელდება. სოლეიმანს გააკავებენ).

ორბელიანი (დაადებს მხარზედ ხელს სოლეიმანსა). —მე, ორბელიანმა, მემკვიდრეობით ქართველთა სარდალმა მხედრობის, უნდა ავყარო მტარვალს ხმალი.

სუმბატი. (მოჰხდის დოლბანდსა). —მე, სუმბატი მემკვიდრეობით ჩემდა მონიჭებულის უფლებით ვადგამ გვირგვინს მეფეთა, ხოლო ამ ავაზაკს და მაწანწალას ვხდი ამ დოლბანდს და ვთელავ ფეხ-ქვეშა. (შესდგამს ზედა და სთელავს).

ხალხი. დასთხარეთ თვალები! აჰკუწეთ ონავარი მხეცი! (სოლეიმანი სდგას თვალებ ზე-აპყრობილი).

საბა. (წინ დაუდგება სოლეიმანს და მაღალის ხმით). მოითმინეთ, ხალხო! დედოფალი და მეფე გადასწყვეტენ მაგის ბედს.

ხალხი. დედოფალმა გაასამართლოს, გაუმარჯოს ბატონიშვილს გიორგის!

X.

ოთარ-ბეგს, დაოსებულს მრავალის ჭრილობით, სხვებთან ერთად შემოაქვს სასიკვდილოდ დაჭრილი ერეკლე.

ოთარ-ბეგი. (ძლივს სდგას ფეხზედ). დედოფალო... შენი შვილი მოჰკლეს. (ერეკლეს დედოფლის წინ დაასვენებენ. დედოფალი არ უყურებს შვილს. ყოველივე სდუმს).

ზეინაბი. გმადლობ, შენ, უფალო!

ერეკლე. მომიტევე... დედა... (კვდება).

ზეინაბი. (დაიხრება ხმა-ამოუღებლივ შვილის გვამის წინაშე. დიდხანს დაჰყურებს. მერე ნელ-ნელა წამოდგება, მიდის სოლეიმანთან, მას წინ გაჩერდება და თვალს თვალში გაუყრის).

სოლეიმან-ხანი. (თავი მაღლა აქვს ამართული, მაღლა იცქირება, დამშვიდებით) გამარჯვება შენ დაგრჩა, ზეინაბ! უბრძანე მომკლან.

ზეინაბი. მომკლან? განა შენ მომკალი მე, როცა გაიმარჯვე?! შენ წვეთ-წვეთობით დალიე ჩემი სისხლი, ნელ-ნელა ამომხადე სული, გამითახსირე რჯული, შებღალე ჩემი პატიოსნება! ოცი წლიწადი ჰქელავდი და შეურაცხჰყოფდი ჩემს ერს, ჩემს ღმერთს და ახლა, როცა დადგა სანეტარო დრო გამარჯვებისა და სიხარულისა, მე, დედოფალი, ვიწვი სირცხვილითა და სახელის გატეხითა. მხოლოდ ერთი ვარსკვლავი აშუქებდა ჩემს სიბნელით მოცულს ცხოვრებას (გულ-ამოსკვნილი ქვითინი შეუწყვეტს ხმას), თეთრად ვათენებდი ღამეს და სულ ერთსა და იმავეს ვევედრებოდი ღმერთს... იზრდებოდა შურის-მძიებელი მიყრუებულ ალაგას, სიღარიბესა და სილატაკეში... და თვალ-წინ მედგა ის დრო, ის საათი, როცა დავემხობოდი მის ფეხ-ქვეშ და ის განმათავისუფლებდა ჩემის სიცრუით, ტყუილით აღსავსე ცხოვრებისათვის, ჩემის შერცხვენისა და გათახსირებისათვის... ის იყო განმათავისუფლებელი ჩემის ქვეყნისა, ის იყო მეფე ჩემის ერისა, გულადი, წმინდა... და შენ, შენმა გარყვნილმა ჰარამხანამ... შენმა ისლამმა... დამმონებულმა და გამკ[illegible]ბელმა... (ხმა შეუწყდება) წამართვა ჩემი უკანასკნელი თვალის ჩინი... ჩაქრო ჩემი ვარსკვლავი... და ყოველ ამისათვის მხოლოდ სიკვდილი? ხალხო და წინამძღოლნო ერისანო, ყოველ ამ ჩემის ტანჯვავების სანაცვლოდ მაჩუქეთ სიცოცხლე ამისი (ხმა დრტვინვისა). ხალხო და წინამძღოლნო, იძიეთ შური თქვენის დედოფლისათვის! არა სიკვდილით! არა წამებით! რა არის წამება და სიკვდილი ურჯულო მტარვალისათვის? არა! ეგ უძლეველი, ეგ მძლავრი, ეგ გულ-ზვიადი მიუგდეთ ფეხ-ქვეშ თავის ბატონს ცოცხლივ, ძლეული, შემუსვრილი, მიწასთან გასწორებული. უღელ-დადგმული მიჰგვარეთ ჩვენს მტრებს. დეე, ნუ გაიზიარებს დღეს აქ დახოცილთა დიდებას! დეე, შერცხვენა, მონობა და თავ-ლაფ-დასხმა მიეზღოს ნაცვლად ჩემის შერცხვენისა, თქვენისა მონობისა და... ამის საძრახისის სიკვდილისა (ანიშნებს შვილის გვამს). დღეს მოკვდა თქვენი მეფე!.. შვილი ჩემი!.. ძე ჩემი! (საერთო დრტვინვა).

სოლეიმან-ხანი. ძე შენი, მოღალ...

ზეინაბი (მბრძანებლის კილოთი) ხმა ჩაიწყვიტე, მონავ. საკუთარი დედოფალი ტყუილს არ იკადრებს თავის ერის წინაშე! ხალხო და ერის წინამძღოლნო! ამ ყრმამ, დღეს მოკლულმა ჩემმა შვილმა და შვილმან თქვენის მეფისამან გიღალატათ თქვენ. მართალია, მოსტყუვდა, მაგრამ მაინც გიღალატათ. მე ვუბრძანე მოკვდი მეთქი და ისიც მოკვდა. დეე, უფალმა ორნივ ერთად განგვიკითხოს! (გულს იგმირავს. უეცრად აღმოხდება გულიდან ხმა საშინელის შეძრწუნებისა და შემდეგ ჩამოვარდება დიდი მდუმარება).

საბა. განისვენეთ მშვიდობით, სიკვდილითა ცოდვისა დამთრგუნველნო! უფალი მიგიღებთ თქვენ ზეცად!

(ფარდა)

გრ. ყიფშიძე.

ეს ფოსტა წაუღიათ ვლადივოსტოკზე. მეორე ფოსტა გაუგზავნიათ 10 ოქტომბერს პორტ-არტურზე და მისულა 24 დღეს. ჯერ-ჯერობით ინგლისი და ავსტრია ამ გზით ფოსტას არა გზავნიან. ის ამბავი, ვითომც აქამომდე ფოსტის გადატანას ორჯერ მეტი დრო უნდებოდა, მართალი არა ყოფილა: ევროპიდგან ამერიკაზე ზღვით გაგზავნილი ფოსტა ყოველთვის 25 28 დღეზე მეტს არა რჩება გზაში.

ჩინეთი. ჩინეთის ქვრივი დედოფალი არ ენდობა თურმე წარჩინებულ მოხელეებს და ამის გამო თავის ვეზირს ჰგზავნის ჩუმად მანჯურიაში, რომ ნამდვილი ამბავი მიუტანოს. ვეზირი ვაჭრის ტანისამოსით მოივლის მანჯურიას და ნახულსა და გაგონილს დაწვრილებით მოახსენებს დედოფალს.

გაზეთი «ძი-ძი» იუწყება, რუსების ჯარმა ჩინეთის ქალაქი ჭაი—ჩენი დაიჭირა, მუკდენსა და ნიუ-ჩუუანს შორის.

კორეა. გაზეთი «ძი ძი» იუწყება, რუსები მკვიდრდებიან კორეაში და მრავალ გვარ სავაჭროებსა და სამრეწველოებს აარსებენ. ეხლა რუსებს ტელეგრაფი გაჰყავთ იონამპოდგან მი-რენ-დუნამდე და სცდილობენ კონცესია მიიღონ რკინის გზის გასაყვანად სეულიდგან იონამპომდე.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

29 დეკემბერი.

ასტრახანი. შესდგა პირველი კრება კომიტეტისა, რომელსაც მინდობილი აქვს საქალებო გიმნაზიის ახალი შენობის აგება. ერთის თვის განმავლობაში ამ საგნისათვის შემოვიდა 60 ათასი მანეთი კერძო შემომწირველთაგან.

ვერხნე დნეპროვსკი. ღამით ცეცხლმა გაანადგურა ერთი ნაწილი ქალაქის სამმართველოს სახლისა. კასსა და ყველა ქაღალდები გადაარჩინეს.

რომი. აქ მოვიდა სარაფოვი.

სან-დომინგო. პრეზიდენტმა დროებითი მთავრობისამ ხიმენესმა ყუმბარები დაუშინა სან-დომინგოსა. ერთი ყუმბარა გასკდა ამერიკის სადიპლომატიო წარმომადგენლის სახლში.

ტიანძინი. რუსებმა დაიჭირეს სინმინტინი, რკინის გზის სადგური, მდებარე 95 მილზე ჩრდილოეთით ნიუ-ჩუანიდან.

პეკინი. თავადმა ცინმა აცნობა ელჩებს, რომ იმ შემთხვევაში, უკეთუ რუსეთსა და იაპონიას შორის ომი მოხდება, ჩინეთი ნეიტრალიტეტს დაიცავს. როგორც დიპლომატიური ცნობებიდან სჩანს, რუსეთის პასუხი მშვიდობიან კილოზეა შედგენილი, მაგრამ შინაარსი კი არ აკმაყოფილებსო. იაპონია განაგრძობს მოლაპარაკებასაო.

სოფია. ოსმალეთის მოხელენი ადრიანოპოლის ვილაიეტისა ხელს უშლიან ბულგარეთის საექსარხოს კომისიებს მცხოვრებთათვის შემწეობის დარიგების დროს. კომისიები იძულებულნი იქნებიან შესწყვიტონ თავისი მოქმედება.

ლონდონი. „რეიტერის სააგენტომ“ სარწმუნო წყაროდან მიიღო ამბავი, რომ იმ შემთხვევაში, უკეთუ რუსეთსა და იაპონიას შორის ჩამოვარდება უსიამოვნება, გერმანია სასტიკ ნეიტრალიტეტს დაიცავს. ამავე გზას დაადგებიან დანარჩენნი წევრნი სამთა-კავშირისა.

პეტერბურგი. 29 დეკემბერს პეტერბურგის უფროსის სახლში გამოეთხოვნენ გენერალ-ადიუტანტს კლეიგელსს მოხელენი უფროსის სამმართველოსი და პეტერბურგის პოლიციისა. მცირე პარაკლისის შემდეგ მამა იოანე კრონშტადტელმა აკურთხა ხატი ნიკოლოზ საკვირველ-მოქმედისა, რომელიც მოხელეებმა მიართვეს უფროსსა. გენერალ-ადიუტანტმა კლეიგელსმა მიიწვია დამსწრენი საუზმეზე, რომელზედაც ბევრი სადღეგრძელოები წარმოითქვა, დახასიათებულ იქმნა უფროსად ყოფილი, რომელმაც ერთობ ბევრი იზრუნა თვის ხელქვეითათვის.

30 დეკემბერი.

როტტერდამი. ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოებათა წარმომადგენელთ განუცხადეს მაკლერებს, რომ როცა პირობებს შეკრებენ საქონლის დაზღვევის შესახებ, რომელსაც რუსეთის და იაპონიის გემებზე დააწყობენ, ან სხვა ხალხთა გემებით გაგზავნიან იაპონიის, ჩინეთის და რუსეთის ნავსადგურებიდან აღმოსავლეთ აზიაში, უნდა მოხსენებული იყოს, რომ დამზღვევი საზოგადოებანი პასუხს არ აგებენ ომის გამო მომხდარ ზარალისათვის.

პარიჟი. აქ მოვიდა ლუი ბონაპარტი. ვოგზალზე ბონაპარტთა წინამძღოლნი დაუხვდნენ. წესიერების აღსადგენად ღონისძიებანი იყო მიღებული.

ვაშინგტონი. სახელმწიფო დეპარტამენტმა მიიღო ცნობა, რომ რუსები დღითი-დღე აძლიერებენ სეულის დაცვასა. საფრანგეთმაც მიიღო საშუალებანი დაცვისა.

პორტ-არტური. საქმეთა მდგომარეობა უმჯობესდება. გაიგზავნა რუსის საზღვაო გადასასხმელი ჯარი ჩემულპოდამ სეულში, სადაც სასახლეში არეულობას მოელიან.

სეული. იაპონიის ელჩმა არა ერთ გზის სცადა, კორეის იმპერატორს აღიარებინა იაპონიის პროტექტორატობა, მაგრამ დღემდე მეცადინეობამ უქმად ჩაიარა. კორეის მთავრობამ განუცხადა, რომ იგი ემხრობა რუს-იაპონელთა ხელშეკრულობას კორეის შესახებ.

პარიჟი. მთავრობა ძალიან ცდილობს მშვიდობიანობის ჩამოსაგდებად, ეს იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ დიდძალი კაპიტალი აქვთ რუსეთის ქაღალდებზე გაგადაცვლილი.

სერაევო. 4 ათასმა ალბანელმა წინააღმდეგობა გაუწია ახალს ჟანდარმერიას და დაიჭირა პრიზრენიდამ სკუტარში მიმავალი გზა.

ტოკიო. მხცოვან სახელმწიფო მოღვაწეთ ბჭობა ქონდათ მინისტრებთან. 31 დეკემბერს ერთნიც და მეორენიც სასახლეში შეიყრებიან.

ვენა. იმ ამბავს, რომ იაპონიის ვენელი სამხედრო აგენტი დაიბარეს, არავითარიმე კავშირი არა აქვს პოლიტიკასთან. იაპონიის სამხედრო აგენტები არიან თავიანთ თანამდებობაზე სამ წლამდე.

ბელგრადი, მინისტრთა თათბირის დროს, რომელიც მეფის თავმჯდომარეობით მოხდა, გადაწყვიტეს ახალწლის მილოცვა გააუქმონ.

31 დეკემბერს მეფე მთლად თავის კაბინეტით ტოპოლუში მიდის, სადაც იდღესასწაულებენ ასის წლის თავს სერბიის პირველ ამბოხებისას. 1 იანვარს დაბრუნდებიან ბელგრადში.—მოვიდა აქ საფრანგეთის მისიის მდივანი მარტენსი. საფრანგეთის და ბელგიის ელჩები წავიდნენ ბელგრადიდამ 30 დეკემბერს. რუმინიის ელჩიც 30 დეკემბერს წავა ბუქარესტში.

იოკოგამა. საქმის მცოდნე ფინანსიური წრეები ირწმუნებიან, რომ რუსეთსა და იაპონიას შორის ეხლა ომი მოსალოდნელი არ არისო.

პეტერბურგის ბირჟა 24 დეკემბერი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,90
ბერლინში 100 მარკაზე	45,95
პარიჟში 100 ფრანკში	37,37½
ლონდონში ჩეკები	94,70
ბერლინში „	46,30
პარიჟში „	—
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	99½ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. სათავ. მამულთ ბანკისა	[illegible] გაყ.
5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ.	436 გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	325 წვ. გაყ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. სათავ.-მამ. ბანკისა	280 გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
4½% ტფილ. სათავ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	92
5% გირავნობ ფურც. იმავე ბანკისა	
6% ქუთ. სათავ. მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	

რკინის გზის მიმოსვლა.

15 ოქტომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 6 ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

ბაქოს: 1) შუადღის 1 ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ საბათობით).

ყარს-ერევანს: 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2) საღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილის-ბაქოსაკენ: 1) დილის 9 ს. 32 წ. 2) ღამის 12 ს. 8 წ.

გ) ბაქოდან:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) შუადღის 1 ს. 48 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); 4) დილის 4 ს. 8 წ.

დ) ქუთაისიდან:

ბათუმისაკენ: 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

ტფილის-ბაქოსაკენ: ღამის 3 ს. 58 წ.

ე) შორაპნიდან:

ჭიათურა-დარკვეთისაკენ: 1) დილის 6 ს. 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

შორაპნისაკენ: 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.

გამოსადეგი ცნობები.

საეკკლესიო მუზეუმი

(სიონის ტაძრის ეზოში)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათობით და ხუთშაბათობით 9—11 საათამდე და კვირაობით 10—1 საათამდე, ისაც სხვა დროსა სურს დათვალიერება, შეუძლიან მიჰმართოს მუზეუმის გამგეს—ბ-ნ მოსე ჯანაშვილს (მიწკევიჩის ქ. № 27)

დაწესდა დღე და ღამ მორიგეობა ბებია ქალთა ქალაქის სამკურნალოში, რომელიც მუხრანის ქუჩაზე და ოლგის საბებიო ინსტიტუტში.

ყველამ, ვისაც დასჭირდება ბებია-ქალი ორსულთ, მშობიარეთა და მელოგინეთა პირველ დახმარებისათვის, უნდა შეიტანოს ახლად დაარსებულ ბებია-ქალთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ ერთი მანეთი.

კავკასიის მუზეუმი

(მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათს, პარასკევსა და კვირა დღეს, დილის 10 საათიდან 3 საათამდე. შესვლა ერთი აბაზია.

ტფილისის საზოგადო. წიგნთ-საცავი

(მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

1 აპრილიდან 1 ოკტომბრამდე იღება საათზედ იკეტება 6 საათზე შუადღის შემდეგ.

1 ოკტომბრიდან 1 აპრილამდე იღება 12 საათზე და იკეტება 5 საათზე შუადღის შემდეგ. წიგნთ-საცავში მრავალ რუსულ, ქართულ, სომხურსა და ევროპიულ წიგნებს გარდა, ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთობაც არის. მკითხველთათვის დიდი დარბაზია მოწყობილი. შესვლა უფასოა.

კვირა-უქმე დღეს წიგნთ-საცავი დაკეტილია; ზაფხულობითაც 15 აგვისტომდე დაკეტილია.

ეტლების სიარული ტფილისსა და თელავს შორის.

მამულოვის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზედ, თელავიდგან ტფილისს ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი დახურ ეტლში 4 მან., კოზლაზედ—3 მან. (კანტორა იმყოფება ავლაბარში, კახეთის მოედანზე).

ეტლების სიარული ტფილისსა და სიღნაღს შორის.

აბოევის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზე. სიღნაღიდგან ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი კაცზე ვადიან დილიჟანსკი—4 მან., [illegible]—3 მან.

განცხადებანი

კახური ღვინის საწყობი სარდაფი

„ქურდღელაური“

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ იქ ნამდვილი საუკეთესო კახური ღვინო მსურველთ დაეთმობათ: ბოთლი, 20—25 კ. და მეტად; ვედრო 1 მ. 70 კ., თუნგი 60 კ. და მრავალი სხვა-და-სხვა ფასებათ.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ჩუღურეთში რიყის ქუჩაზედ, გაბაევის სახლში № 6. 3—2

ყველა

ადვილად და პატიოსნურად იშოვის თვეში 400 მანეთს. არც დიდი ცოდნაა საჭირო და არც ხარჯი, მხოლოდ ჩქარა გამოგზავნეთ თქვენი

ადრესი: U. 111 an das
Annoncen-Bureau des Merkur
in Mannheim Meerfeldstrasse, 44.
(50—42)

ახალი გამოცემა

წერა-კითხვის საზოგადოებისა.

ბურჯი ეროვნებისა.

თხუზულება იაკობ გოგებაშვილისა, მეორე ბევრად შევსებული, გამოცემა. ფასი ერთი აბაზი. ვინც ათობით იყიდის, წიგნი დაეთმობა 16 კაპეიკად, ვინც ოცობით — სამ შაურად.

ქუთაისში

ს. ბ. თოფურიას

სამკურნალოში

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა. კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს. ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანეთიდან 3 მანეთამდე.

ამერიკულ ვაზის სანერგეში

კლო-ყვერულეში

დაიწყო გაყიდვა დამყნილ დაფესვიანებულ ვაზებისა. იყიდება აგრეთვე ვაზის რქები საუკეთესო ჯიშისა როგორც ადგილობრივი, ისე ბორდოსი, ბურგუნდიისა, შამპანიისა, რეინისა და სხვა. მრავალნაირი როგორც რქა ისე დაფესვიანებული ჰიბრიდი, აგრეთვე ამერიკული ჯიშები სამყნობად და ყველა ვაზისთვის მშრალ, ნოტიო, მაგარ, მძიმე და სხვა ნიადაგისათვის. სანერგეში 700 სხვა-და-სხვა ჯიშის ვაზია. პრეისკურანტები და ახსნა უსასყიდლოდ.

შემთხვევით გვაქვს 20,000 ორი წლის ნამყენი რუპესტრისზე „Cattaratu“ კატარატუ, ჯიში, რომელიც იძლევა შესანიშნავ ღვინოს «მარსალას».

ადრესი: წერილებისა და დეპეშებისათვის:
В. Тьебо. Кутаисъ.

მსწრაფლ მბეჭდავი

სტამბა

ექვთიმე ივ. ხელაძისა,

რომელიც იმყოფება რუსის ბაზარში, (იარმუკაში) სომხის სასულიერო სემინარიის სახლებში;

იღებს ყოველ-ნაირ საბეჭდავ საქმეებს, როგორც რუსულს და ქართულს, აგრეთვე ყველა უცხო ენებზედაც

სტამბას აქვს დამზადებული საფაბრიკო ინსპექციისაგან ახალი შემოღებული ყველა დავთრები და წიგნაკები, აგრეთვე პოლიციის და სამსაჯულო ბოქაულების დავთრები.

ფასი ყველასთვის ხელმისაწდომი.

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1904 ГОДЪ
на ежедневную политическую, литературную и экономическую газету

„НОВОСТИ“

со 100 приложеніями

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

I-го (большаго) изданія
ДЛЯ ГОРОДСКИХЪ ПОДПИСЧИК.:
На годъ 16 р.
На 6 мѣсяцевъ 9 р.
ДЛЯ ИНОГОРОДН. ПОДПИСЧИК.:
На годъ 17 р.
На 6 мѣсяцевъ 10 р.

II-го (малаго) изданія:
5 РУБЛЕЙ ДЛЯ ГОРОДСКИХЪ ПОДПИСЧ. на 12 мѣсяцевъ и 50 к. на 1 мѣсяцъ.
6 РУБЛЕЙ ДЛЯ ИНОГОРОД. ПОДПИСЧ. на 12 мѣсяцевъ и 55 к. на 1 мѣсяцъ.

Пониженіе подписной цѣны второго изданія газеты „НОВОСТИ“
(для городскихъ подп. 5 р. вмѣсто 10 р., для иногородн. 6 руб. вмѣсто 11 руб.
вызвало въ 1903 году ГРОМАДНОЕ РАСПРОСТРАНЕНІЕ ЕЯ.

100 безплатныхъ приложеній 100

А ИМЕННО:

52 №№ „ПЕТЕРБУРГСКАЯ ЖИЗНЬ“
Еженедѣльный иллюстрированный худож. литературный журналъ. Отдѣльная подписная цѣна журнала: безъ доставки и пересылки: на 1 годъ—5 р., на 6 мѣс.—3 р., на 3 мѣс.—1 р. 75 к. Съ доставкой и пересылкою: на 1 годъ—6 р., на 6 м.—3 р., на 2 мѣс. 1 руб.

12 №№ ЭСКУЛАПЪ
Медико-Гигіеническое Обозрѣніе.

12 №№ „Техническое Обозрѣніе“
(Новѣйшія открытія и изобрѣтенія, успѣхи промышленности и торговли въ связи съ успѣхами наукъ, просвѣщенія и техники).

12 №№ ПРИРОДА И ХОЗЯЙСТВО
(Естественныя науки, сельское хозяйство, садоводство и т. п.).

12 №№ НОВѢЙШІЯ МОДЫ И СПОРТЪ

ОКОЛО 2,000 ИЛЛЮСТРАЦІЙ.

Обширный матеріалъ по гигіенѣ и медицинѣ, домоводству, сельскому хозяйству технікѣ и, вообще, для цѣлей самообразованія.

Контора газеты „НОВОСТИ“, СПБ., Невскій пр., 18.
Телефонъ 787.

При конторѣ газеты „НОВОСТИ“ существуетъ
КНИЖНЫЙ МАГАЗИНЪ
услугами котораго подписчики „НОВОСТЕЙ“ пользуются на льготныхъ условіяхъ

Дозволено цензурою тифлис 30 декабря 1903г. Типографія Е. И. Хеладзе Русскій базаръ, домъ армяно-григ. семинаріи [illegible]